

2024 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №8):

ა.ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ⁴“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „პ⁵“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„პ⁵) პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის განხორციელების გამოვლენისას, სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაგზავნას;“;

ა.ბ) მე-10 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ზ¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ზ¹) პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის განხორციელების გამოვლენისას, სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის გაგზავნას;“;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №9):

ბ.ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „კ³“ და „კ⁴“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„კ³) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლების შესახებ პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წარმართვას, გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონულ რეესტრში ასახვას;

კ⁴) ამ პუნქტის „კ³“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე პირის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემდეგ, გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული წარმოების მასალების და განხორციელებული ოპერაციის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გაგზავნას;“;

ბ.ბ) მე-8 მუხლის:



ბ.ბ.ა) „ჩ¹“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ჩ²“ და „ჩ³“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ჩ²) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლების შესახებ პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წარმართვა, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და დეპარტამენტის უფროსისთვის ხელმოსაწერად წარდგენა, ინფორმაციის ელექტრონულ რეესტრში ასახვა;

ჩ³) ამ დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე პირის მიერ განხორციელებული ოპერაციის შემდეგ, გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული წარმოების მასალების და განხორციელებული ოპერაციის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გაგზავნა;“;

ბ.ბ.ბ) „ჯ⁷“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ჯ⁸“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ჯ⁸) მიზნობრივი ჯგუფების თემატური ინფორმირების ღონისძიებების ფარგლებში, შესაბამის სამიზნე ჯგუფთან შეტყობინების გაგზავნა;“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა

